

დავით სულხანიშვილი, სოლომონ იორამაშვილი მადონა მშვილდაძე, დავით გოგუაძე, გიორგი ბურჯანაძე

გოხნარის წმ. გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე არსებული სამარხების არქეოლოგიური კვლევის შედეგები

წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია და სამაროვანი მდებარეობს ქვემო ქართლის რეგიონის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, სოფ. გოხნარში (ისტორიული სახელწოდება აძიკვი, ახალსოფლის თემის საკრებულო. ზღ.დ. 1368 მ.), ალგეთის მარჯვენა შენაკადის მდ. ბზისწყლის ხეობაში,¹ ადმინისტრაციული ცენტრიდან 47 კილომეტრის დაცილებით.² სამეცნიერო წრეებში, აღნიშნული ძეგლი არაერთხელ გამხდარა განხილვის საგანი. კვლევის ინტერესს, ძირითადად წმ. გიორგის დარბაზული ეკლესიის არქიტექტურულ-ეპიგრაფიკული შესწავლა, ეზოში განფენილ სამარხთა ქვებზე არსებულ კომპოზიციათა კვეთის ტექნოლოგია და მათი მემორიალური კუთვნილების განსაზღვრა წარმოადგენდა.



სურ. 1 (Fig. 1)

¹ მდინარეს „ბზის წყალს“ ადგილობრივები უწოდებენ, ხუთ ვერსიან რუკაზე ის „ლაკვის წყლად“ მოიხსენიება, ხოლო ერთ ვერსიან რუკაზე – „ზიმოვნიჩკად“, იხ. თათარაშვილი, ჰიდრო-გეოლოგიური მიმოხილვა, გვ. 99.

² ციციშვილი, გოხნარი, გვ. 240.

ეკლესიის სამშენებლო ქვებზე დატანილ ასომთავრულ წარწერებს, თავდაპირველად ყურადღება ე. თაყაიშვილმა¹ მიაქცია. წარწერები მოგვიანებით შეისწავლეს ნ. შოშიაშვილმა და ნ. ბერძენიშვილმა.² მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სწორედ ეკლესიის სამხრეთი მინაშენის დასავლეთ კედელში განთავსებულ ასომთავრულ ტექსტში ნახსენები კლდეკარის მფლობელთა სახელების საფუძველზე, ა. ბაქრაძემ გამოთქვა აზრი კლდეკარის საერისთავოს გოხნარამდე გავრცელებაზე, ვინაიდან იგი წარმოადგენს უკიდურეს აღმოსავლეთ პუნქტს, სადაც ეპიგრაფიკულ მასალაში კლდეკარის მფლობელთა სახელებს ვხვდებით. ეკლესია არქიტექტურული, ეპიგრაფიკული და ისტორიული მონაცემების გათვალისწინებით XI-XII სს-ებით დათარიღდა,³ გამოითქვა ვარაუდი, რომ სამაროვანიც შესაძლოა ამავე პერიოდის, X-XI-XII საუკუნეების კუთვნილი ყოფილიყო.⁴



სურ. 2 (Fig. 2)

¹ Такайшвили, IV. *Тифлисский уезд*, გვ. 174-175, სურ. 17, 19.

² ბერძენიშვილი, *აძიკვის წარწერის გამო*, გვ. 272-275.

³ ბაქრაძე, *თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები*, გვ. 58; კვიციანი, *აძიკვის (გოხნარის) წმინდა გიორგის ეკლესია*, გვ. 156-161.

⁴ ნადირაძე, *საქართველოს მემორიალური კულტურა*, გვ. 289.



სურ. 3 (Fig. 3)



სურ. 4 (Fig. 4)

სამარხებთან დაკავშირებით, 2018 წლამდე, ცალკე არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, რაც გამოთქმულ მოსაზრებას გაამყარებდა. აღნიშნული ძეგლები კვლევითი თვალსაზრისით გამორჩეულია იმ მხრივაც, რომ ორივე მათგანი გამართულია მეგალითურ ნანგრევებზე, რომლებიც არქეოლოგიურად ასევე შეუსწავლელია და ამჟამად მთლიანად ხე-მცენარეებითაა დაფარული.¹



სურ. 5 (Fig. 5)



სურ. 6 (Fig. 6)

¹ გოხნარში არსებულ მეგალითურ ნაგებობებთან დაკავშირებით იხ. ლომთათიძე, გრძელიშვილი, *თრიალეთში 1949 წ. მივლინების ანგარიში*, გვ. 330-334; თათარაშვილი, ჭიდრო-გეოლოგიური მიმოხილვა, გვ. 100, 105-106; ბურჯანაძე, *სააღრიცხვო ბარათი*.

სამაროვანზე დაფიქსირებულ მემორიალურ სიუჟეტებს, XX ს-ის 60-იანი წლების ბოლოს, ხელოვნებათმცოდნეთაგან, საინტერესო სტატია მიუძღვნა რ. შმერლინგმა. მან, სოფლების ბზისა (დღევანდელი ახალსოფელი) და აძიკვის სამარხ ქვებზე არსებული მხატვრული გაფორმებები ახსნა გარდაცვლილის პროფესიის, ხელობის მტკიცებულებად, ხოლო ნაწილი დაუკავშირა ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიურ წარმოდგენებს, რომელთა გვერდით წარმართული რწმენის ამსახველ ნიშნებსაც ხედავდა.¹ სიუჟეტების ახსნისას, შმერლინგი იზიარებდა ქრისტიანული სიმბოლიკის მკვლევარის გრაფი უვაროვის შეხედულებას, რომელმაც ადრექრისტიანული ევროპული ძეგლებისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის მრავალფეროვანი მემორიალური კულტურის მაგალითზე, გამოთქვა მოსაზრება, რომ: „საფლავის ქვებზე გარდაცვლილის ყოველი ხელობა, თანამდებობა და ნებისმიერი საქმიანობა აისახებოდა ამ ხელობისთვის ან თანამდებობისთვის აუცილებელი მთავარი ნივთით“.²

გოხნარის სამარხი ქვების მაღალმხატვრულ ღირებულებებზე ყურადღება გამახვილებული აქვს ნ. ბერძენიშვილსაც. მის აღწერებში, საყოფაცხოვრებო და სამხედრო სიუჟეტებთან ერთად, ნახსენებია სოლებიანი თვლებით გაფორმებული ურემი. მისივე ხელშეწყობით, გამორჩეული ქვების ნაწილი არმაზისხევის საველე მუზეუმსა და თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის (ლია ცის ქვეშ) არქეოლოგიურ განყოფილებაში გადაუტანიათ.³ XX ს-ის 70-იან წლებში, ახალსოფლისა და გოხნარის უეპიტაფიო სამარხის ქვებზე საინტერესო აღწერილობა აქვს შემოთავაზებული ზ. მაისურაძეს, რომლის მიხედვითაც სამაროვნებზე საზოგადოებრივი დიფერენციაციის გარეშე, ერთად არიან დაკრძალულნი სხვადასხვა სოციალური სტატუსის წარმომადგენლები: „მეომრები და მიწის მუშაკნი, გვაროვანნი და უგვარონი“.⁴ 2000 წელს, დასახელებულ სოფლებში არსებული საფლავის ქვები დაფიქსირდა და აღიწერა დ. გოგუაძის მიერ პუბლიკაციაში: „საქართველოს პეტროგლიფების დიდი კატალოგი“.⁵

რელიგიური სიუჟეტების (რომლებიც ძირითადად მეომრის აღჭურვილობას წარმოადგენენ) ახსნის მცდელობის გარდა, ბუნებრივია ჩნდება სხვა მნიშვნელოვანი კითხვებიც, კერძოდ: რომელი პერიოდიდან იწყება სამაროვნის ფორმირება? რამდენად უნიკალურია ქვაზე თლის შესრულება და სტილისტიკა? უკავშირდება თუ არა აღნიშნული სამარხები რაიმე კონკრეტულ მოვლენას? ძირითადად რა საქმიანობას ეწეოდნენ აქ დაკრძალული

¹ Шмерлинг, *Архитектурные памятники*, გვ. 105-131; ნადირაძე, *საქართველოს მემორიალური კულტურა*, გვ. 41-42.

² Уваров, *Христианская символика*, გვ. 97, 101.

³ ნადირაძე, *საქართველოს მემორიალური კულტურა*, გვ. 73; ბერძენიშვილი, *აძიკვის წარწერის გამო*, გვ. 273.

⁴ მაისურაძე, *ისტორიის*, გვ. 65.

⁵ გოგუაძე, *დიდი კატალოგი*, გვ. 140-146.

პირები? შესაძლებელია თუ არა ვივარაუდოთ „საძმო სასაფლაო“? რომელ ეთნოს(ებ)ს ეკუთვნიან აქ დამარხულნი? კლდეკარის საერისთავო ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული როგორც ცალკეულ სამეფო-სამთავროთა შორის პოლიტიკურ დაპირისპირებებში, ისე ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში,¹ თუ აღნიშნულ ისტორიულ ფონს გავითვალისწინებთ, გოხნარის სამაროვანზე სავსებით დასაშვებია ვივარაუდოთ როგორც ადგილობრივი, ისე საქართველოს ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები არაქართველი მეომრების განსასვენებელი.

სწორედ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზანს წარმოადგენდა 2018-2020 წლებში, ა(ა)იპ „ხვამლის ამქარი“-ს მიერ (ხელმძღვანელი დ. სულხანიშვილი), სოფ. გოხნარის ეკლესიის ეზოში მცირე მასშტაბიანი გათხრების და განმენდითი სამუშაოების განხორციელება.² პირველ ეტაპზე მოხდა ეკლესიის ეზოს მცირე მონაკვეთის განმენდა და ერთი სამარხის ნაწილობრივ³ შესწავლა. სამარხში გამოვლინდა ორი მიცვალებული, რომელთა ძვლებიც ერთმანეთში იყო არეული. სამარხი ორმოს საზღვრები არ იკვეთებოდა, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ საფლავის ქვები ერთ დიდ კოლექტიურ სამარხზე იყო განთავსებული.

განმენდითი სამუშაოების დროს, ერთ-ერთ საფლავის ქვაზე გამოვლინდა ასომთავრული წარწერა,⁴ სავარაუდოდ მიძღვნა, რომელიც სტილისტურად XIII ს-ის უნდა ეკუთვნოდეს.⁵ უნდა აღინიშნოს, რომ რიგებად განლაგებულ საფლავის ქვებზე, აღნიშნული წარწერა ერთადერთი გამო-ნაკლისია, დანარჩენ შემთხვევაში, როგორც ეს არაერთხელაა სამეცნიერო პუბლიკაციებში ნახსენები, ყველაზე გავრცელებული სიუჟეტებია: ხელთ-პყრობილი მშვილდი, ხმალი, შუბი, ფარი, საბრძოლო ნაჯახი, შურდული, მნათობთა გამოსახულებიანი ორნამენტები და საკრალური მნიშვნელობის სხვა უცნობი სიმბოლოებიც. ათეულობით, მიწის ზედაპირზე გამოვლენილი მაღალმხატვრული ოსტატობით შესრულებულ საფლავის ქვებიდან, ქრისტიანული სიმბოლიკა, კერძოდ, პიედესტალზე აღმართული ჯვრის გამოსა-

¹ ჯავახიშვილი, *ქართველის ერის ისტორია*, წგნ. II, გვ. 133, 283; *მატიანე ქართლისა*, გვ. 301.

² სამუშაოებს წინ უძღოდა სავსე დაზვერვებიც, რომლის დროსაც ექსპედიციის წევრებმა, ბედენის ზეგანთან დამაკავშირებელი გზის სიახლოვეს, მიაკვლიეს „პატარალოდოვანის“ სახელით ცნობილ მეგალითურ კომპლექსს. იხ. სულხანიშვილი, *მოკლე ანგარიში*, გვ. 153-155.

³ ობიექტური მიზეზების გამო, აღნიშნულ სეზონზე ვერ მოხერხდა სამარხის სრულყოფილი შესწავლა.

⁴ აღნიშნული წარწერის არსებობის შესახებ ექსპედიციას ინფორმაცია მიაწოდა ადგილობრივმა მცხოვრებმა, ახალსოფლის საჯარო სკოლის ქართული ენის პედაგოგმა ჟუჟუნა აფციაურმა.

⁵ სულხანიშვილი, *მოკლე ანგარიში*, გვ. 154; 2020 წელს, გოხნარის ეკლესიის ეზოში წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის ფარგლებში (ხელმძღვანელი ზ. კვიციანი), წარწერის წაკითხვა სცადა გიორგი ოთხმეზურმაც, იხ. კვიციანი, *აძიკვის (გოხნარის) წმინდა გიორგის ეკლესია*, გვ. 158.

ხულება, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება. სამარხის ქვებზე¹ გამო-
სახულებები თითქმის არ არის დაზიანებული.



სურ. 7, 8, 9 (Fig. 7, 8, 9)

¹ მასალად გამოყენებულია კარგად დამუშავებული ბაზალტი და ანდეზიტი, რომელსაც მოსახლეობაში ალგეთის ქვას უწოდებენ.

2020 წელს, გათხრითი სამუშაოები ორ სამარხზე განხორციელდა. პარალელურად, მიცვალებულთა წარმომავლობის, გარდაცვალების სავარაუდო მიზეზისა და სამაროვნის დათარიღების მიზნით, მოხდა ძვლოვანი ნიმუშების აღება. იმისათვის, რომ უფრო ნათლად ავსახოთ შესწავლილი სამარხების ტიპოლოგია და არქეოლოგიური სამუშაოების სურათი, მოგვყავს მონაცემები სავსელ საანგარიშო დოკუმენტაციიდან.¹ სამუშაოების პირველ ეტაპზე შემოისაზღვრა 3მ.х4მ.-ზე კვადრატი (ნაკვეთის ტეხვის ნერტილები: 1. X 443480.6695 Y 4611480.443; 2. X 443483.2695 Y 4611480.443; 3. X 443483.2695 Y 4611479.643; 4. X 443482.8695 Y 4611479.643; 5. X 443482.8695 Y 4611478.643; 6. X 443480.6695 Y 4611478.643). ყოველ ეტაპზე წარმოებდა მოპოვებული მასალის დოკუმენტირება, ველის ფოტოფიქსაცია და ფოტოგრამეტრიის მეთოდის გამოყენებით მოდელის აწყობა. განხორციელებული სამუშაოები ამოიხაზა GIS ინსტრუმენტის საშუალებით და შეიქმნა ერთიანი სურათის ამსახველი თემატური რუკაც.



სურ. 10, 11 (Fig. 10, 11)

¹ სულხანიშვილი, ბურჯანაძე, მშვილდაძე, *მოკლე ანგარიში*, გვ. 173-177.

ორივე სამარხის გათხრისას ჰუმუსური ფენიდანვე დაფიქსირდა კერამიკის (კრამიტისა და თიხის ჭურჭლის) ნატეხები, ხოლო ჰუმუსის მოხსნის შემდგომ ადამიანის ფრაგმენტირებული ძვლები და ცხოველის რამოდენიმე კბილი. N1 სამარხში, რომელზეც დატანილია ზემოაღნიშნული წარწერა და უცნობი საკრალური სიმბოლო, მიწის ზედაპირიდან 35-40 სანტიმეტრში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ჭრილებთან გამოვლინდა ორი ახალშობილის, ანატომიურად არასრული ჩონჩხი. N1 და N2 სამარხში ზედაპირიდან 40-60 სმ-ის სიღრმეში, ჭრილის დასავლეთ და აღმოსავლეთ მონაკვეთებში მიხვეტილი იყო ადამიანის ძვლები (პირველი დონე). ხოლო, 57-60 სმ-ზე დაფიქსირდა ქვებით ამოყვანილი დასაკრძალავი კამერა, რომელიც გადახურული იყო შედარებით მოზრდილი ფლეთილი ქვებით (მეორე დონე).



სურ. 12 (Fig. 12)


აღსანიშნავია რომ N2 სამარხის გადახურვის ფილების პრეპარაციისას აღმოჩნდა დამუშავებული, ორმხრივრეტუშირებული ობსიდიანის საფხეკიც. თითოეულ სამარხს ოთხივე მხრიდან ქვით ამოყვანილი კედლები აქვს. N1 სამარხის შიდა ზომებია 180x46სმ., N2 სამარხის – 185x50სმ. პრეპარაციის შემდეგ ორივე სამარხში დაფიქსირდა ანატომიურად სრული, თითო მიცვალებული, დაკრძალულნი გაშოტილ პოზაში, აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, თავით დასავლეთით. მიცვალებულები ორივე სამარხში ნიველირებულ თიხატკეპნილზე იყვნენ დასვენებულნი.




სურ. 13 (Fig. 13)



სურ. 14 (Fig. 14)



სურ. 15, 16 (Fig. 15, 16)



სურ. 17 (Fig. 17)

იმის დასადგენად, ვრცელდებოდა თუ არა კულტურული ფენები აღნიშნული დონის ქვემოთაც, N2 სამარხში მოხდა ნიველირებული თიხატკეპნილის მოხსნა.

აღნიშნული ფენის ქვემოთ გამოვლინდა ადრეული პერიოდის, მოზრდილი ქვებით გადახურული მეორე სამარხი (მესამე დონე). ქვედა სამარხის კონტურების გამოსავლენად მოიხსნა მოგვიანებით ამოყვანილი სამარხის სამხრეთ კედელი, რამაც დაგვანახა, რომ ქვედა დონის სამარხი კამერა არ ემთხვეოდა ზემოდან გამართული სამარხი კამერის ზომებს, ვრცელდებოდა ზედა სამარხის ნახევრამდე და სრულდებოდა მოზრდილი



სურ. 18 (Fig. 18)



სურ. 19 (Fig. 19)

ჩამკეტი ლოდით. ქვედა დონის სამარხში პრეპარაციის დროს გამოვლინდა ერთმანეთზე დაკრძალული სამი მიცვალებული და ორი თავის ქალა.

მიწის ზედაპირიდან 1 მეტრის სიღრმეზე N1 სამარხის ზედა დონის სამარხი კამერის ჩრდილოეთ კედელში, აღმოსავლეთ ჭრილთან დაფიქსირდა ბავშვის ძლიერ ფრაგმენტირებული ძვლები. N2 სამარხის გათხრისას გამოვლენილმა სიტუაციამ განაპირობა მსგავსი სამუშაოების ჩატარება N1 სამარხშიც, სადაც ანალოგიური სურათი დადასტურდა. აქაც, N2 სამარხის მსგავსად, მესამე დონის სამარხი არ იმეორებდა მეორე დონის სამარხის კონფიგურაციას. იმის გამო, რომ სამარხის ნახევარი ვრცელდებოდა ჭრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მისი ბოლომდე შესწავლა ვერ მოხერხდა. მესამე დონის სამარხების სრულფასოვნად შესასწავლად აუცილებელია მოხდეს საკვლევი არეალების გაზრდა და ერთიან კონტექსტში გააზრება. არქეოლოგიური სამუშაოებით ნათლად გამოიკვეთა, რომ სამარხები მიცვალებულთა დასაკრძალად



სურ. 20 (Fig. 20)



სურ. 21 (Fig. 21)



რამდენჯერმე გამოუყენებიათ დროის სხვადასხვა მონაკვეთში. ამას ადასტურებს N1 სამარხში, მიწის ზედაპირიდან 40 სმ-ის სიღრმეზე გამოვლენილი ორი ახალშობილის არასრულად შემორჩენილი ძვლები, ზედა დონის სამარხი კამერების გადახურვაზე მიხვეტილი მიცვალებულები, N1 სამარხის ზედა დონის ჩრდილოეთ კედელთან გამართული ბავშვის სამარხი და ზემოთ აღწერილი, ქვებით ამოყვანილი დასაკრძალავი კამერები. იმ ფაქტს, რომ სამარხები სხვადასხვა პერიოდში აქტიურად გამოიყენებოდა, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ გათხრების პროცესში გამოვლენილი ფრაგმენტირებული კერამიკული მასალიდან არცერთი ყოფილა “insitu” მდგომარეობაში.




სურ. 22 (Fig. 22)

არქეოლოგიური სამუშაოებით მიღებული შედეგების გასამყარებლად, ლაბორატორიული კვლევებისათვის, სამივე დონის სამარხებიდან მოხდა ძვლოვანი ნიმუშების აღება. რადიოკარბონული ანალიზისთვის, თითო ნიმუში გადაიგზავნა შვედეთში, უპსალას უნივერსიტეტის Tandem-ის ლაბორატორიაში (Tandem Laboratory, Uppsala University). რადიოკარბონული კალიბრაციისათვის გამოყენებული იქნა IOSACal v0.4.1 (2020) პროგრამა, რომლის საფუძველზეც, მესამე დონის სამარხიდან აღებული ძვლოვანი მასალა განისაზღვრა 950 ± 29 (BP) წლის წინანდელი პერიოდით (რაც 68.2%-ით შესაბამისობაში მოდის შემდეგ წლებთან: ახ.წ. 1039-1049 [9.1%], ახ.წ. 1081-1190 [24.0%], ახ.წ. 1112-1152 [33.8%], ხოლო 95.4%-ით: ახ.წ. 1030-1160 [95.2%]). მეორე დონიდან აღებული ნიმუში – 755 ± 29 (BP) წლის წინანდელი პერიოდით (რაც 68.2%-ით შესაბამისობაში მოდის შემდეგ წლებთან: ახ.წ. 1232-1240 [11.8%], ახ.წ. 1260-1281 [55.5%], ხოლო 95.4%-ით: ახ.წ. 1224-1285 [94.9%]). პირველი, ზედაპირული ფენის ნიმუშიდან კი მივიღეთ 804 ± 29 (BP) წლის წინანდელი დროის მონაკვეთი (რაც 68.2%-ით შესაბამისობაში მოდის შემდეგ პერიოდებთან: ახ.წ. 1225-1262 [67.9%], ხოლო 95.4%-ით: ახ.წ. 1180-1188 [2.3%], ახ.წ. 1210-1276 [92.9%]).

Calibration curves




ტაბ. 1 (Tab. 1)



ტაბ. 2 (Tab. 2)

(ტაბ. 2-ის მომდევნო ნაწილი იხ. გვ. 235-ზე)



რადიოკარბონული კვლევით მიღებული თარიღები, მნიშვნელოვანი რამდენიმე მიზეზით აღმოჩნდა. ანალიზით დადგინდა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი ყველაზე ადრეული სამარხეული დონის დათარიღება X-XI საუკუნეების მიჯნიდან იწყება, ხოლო გვიანი XII-XIII საუკუნეებით სრულდება. აღნიშნული მონაცემები კიდევ ერთხელ ამყარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას როგორც ეკლესიის აგების პერიოდზე, ისე სამაროვნისა და გოხნარის წმ. გიორგის ეკლესიის თანადროულობაზე.

მიღებული შედეგებით, კალიბრაციის მეთოდებს შორის ცდომილებათა გათვალისწინებით, კიდევ ერთი გარემოება დასტურდება უტყუარად, კერძოდ, ზედა დონის მიცვალებულნი უფრო ადრეულ პერიოდს განეკუთვნებიან, ვიდრე მეორე დონის, მოწესრიგებულ სამარხში დაკრძალულნი, ანატომიურად სრული მიცვალებულები, რომლებისთვისაც თითქოს მიძღვნილია ზედაპირზე არსებული საფლავის ქვები. მეორე დონის სამარხისათვის მემორიალური საფლავის ქვის მიკუთვნება მხოლოდ ერთადერთ, მეორადად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო. აღნიშნულ მოსაზრებას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბრძოლო იარაღის გამოსახულებით შემკული ქვა განთავსებული იყო მეორე დონის მოწესრიგებული საფლავის თავზე, სადაც არქაული დნმ-ის კვლევით დადასტურებული ქალის ჩონჩხი გამოვლინდა.

არქაული დნმ-ის ლაბორატორიული კვლევა შვედეთის სახელმწიფო SciLifeLab ლაბორატორიაში (უძველესი დნმ-ის განყოფილება, პალეოგენეტიკის ცენტრი) განხორციელდა.¹ საანალიზოდ გაიგზავნა 13 ნიმუში, აქე-

¹ აღნიშნული სამუშაოების ფინანსური მხარდაჭერისათვის, ა(ა)იპ „ხვამლის ამქარი“ მადლობას უხდის Frederik Paulsen-ს.

დან 11 – სამივე დონის სამარხებიდან და 2 ნიმუში ბავშვების ძვლოვანი მასალიდან. გენეტიკური ინფორმაციის მიღება ვერ მოხერხდა ერთ-ერთი ახალშობილის ნიმუშზე. მეორე ახალშობილის ნიმუში აღმოჩნდა ბიჭის, რომლის Y ქრომოსომული ჰაპლოჯგუფი განისაზღვრა როგორც R1a1a1[~]. დანარჩენი ზრდასული ადამიანის 11 ნიმუშიდან შესაძლებელი გახდა სამი Y ქრომოსომული დნმ-ის ჰაპლოჯგუფის გაშიფვრა, სამივე მათგანი არის R1b1a1b. გასათვალისწინებელია, რომ სამივე მამაკაცი აღმოჩნდა პირველი დონის, მიხვეტილ ძვლებს შორის. ორ ნიმუშში ქრომოსომის გამოვლენა ვერ მოხერხდა, რაც სამწუხაროდ არ იძლევა სქესის განსაზღვრის საშუალებას. 5 ნიმუშით დადასტურდა ქალი, ერთიდან დნმ-ის სეკვენირება ვერ განხორციელდა.

Ancient DNA unit ID	User specimen ID	Human DNA in data (%)	Average human genome coverage (x)	Average human mitochondria genome coverage (x)	Sex chromosomes	Mitochondrial haplogroup	Y-chromosome haplogroup
A189-001	10.09.2020-2.3-S	43.29	0.150	11.915	XX	H6a1b	No Y chromosome
A189-001	10.09.2020-2.3-S	43.22	0.157	12.319	XX	H6a1	No Y chromosome
A189-002	16.09.2020-1.Co	34.98	0.166	21.782	XX	J1c16	No Y chromosome
A189-002	16.09.2020-1.Co	34.98	0.167	22.360	XX	J1c16	No Y chromosome
A189-003	15.09.2020-2. CoM	64.35	0.238	17.696	XY	W3a1	R1b1a1b
A189-003	15.09.2020-2. CoM	64.25	0.250	18.241	XY	W3a1	R1b1a1b
A189-004	15.09.2020-2.Co-S	61.24	0.349	20.840	XX	H6b2	No Y chromosome
A189-004	15.09.2020-2.Co-S	61.11	0.301	19.087	XX	H6b2	No Y chromosome
A189-005	15.09.2020-2.Co	58.05	0.776	50.376	XY	U1a1c1	R1b1a1b
A189-005	15.09.2020-2.Co	57.91	0.741	49.265	XY	U1a1c	R1b1a1b
A189-006	10.09.2020. 2.1. Sk	1.53	0.008	2.270	XY	H2a2a ²	ND ³
A189-006	10.09.2020. 2.1. Sk	1.52	0.008	2.134	XY	H2a2a1g ²	ND ³
A189-007	11.09.2020. 1. Sk	11.47	0.057	10.294	XX	U3b2a1a	No Y chromosome
A189-007	11.09.2020. 1. Sk	11.17	0.066	11.499	XX	U3b2a1a	No Y chromosome
A189-008	13.09.2020. 2. -S	0.80	0.004	2.607	XY	U1a1a ²	ND ³
A189-008	13.09.2020. 2. -S	0.78	0.004	2.545	XY	U1a1a+16129 ²	ND ³

ტაბ. 3 (Tab. 3)

(ტაბ. 3-ის მომდევნო ნაწილი იხ. გვ. 237-ზე)

Ancient DNA unit ID	User specimen ID	Human DNA in data (%)	Average human genome coverage (x)	Average human mitochondria genome coverage (x)	Sex chromosomes	Mitochondrial haplogroup	Y-chromosome haplogroup
A189-009	10.09.2020.1.Ph.T.M	3.81	0.026	5.422	XX	U3b2a1a ²	No Y chromosome
A189-009	10.09.2020.1.Ph.T.M	3.68	0.025	5.685	XX	U3b2a ²	No Y chromosome
A189-010	10.09.2020.2.2.M	36.41	0.149	9.817	XY	W3a1 ²	R1b1a1b
A189-010	10.09.2020.2.2.M	36.35	0.132	8.874	XY	W3a1 ²	R1b1a1b
A189-011	7.09.2020.2.Sk	13.25	0.036	1.587	XX	ND ¹	No Y chromosome
A189-011	7.09.2020.2.Sk	13.18	0.036	1.609	XX	ND ¹	No Y chromosome
A189-012	6.09.2020.1.C	34.67	0.176	27.271	XY	W3a1a	R1a1a1~
A189-012	6.09.2020.1.C	34.37	0.164	25.916	XY	W3a1a	R1a1a~

შესაძლებელი გახდა ბავშვის დედის ჰაპლოჯგუფის განსაზღვრა – W3a1a. მიტოქონდრიული დნმ-ის მსგავსი ჯგუფი W3a1 გამოვლინდა ორ მამაკაცშიც, მესამე მამაკაცის მიტოქონდრიული ჰაპლოჯგუფი იყო Ia1c1.

სამაროვანზე გამოვლენილი ქალების მიტოქონდრიული ჰაპლოჯგუფები მრავალფეროვნებით ხასიათდება. ლაბორატორიული კვლევით დადასტურდა შემდეგი ტიპები: H6a1b, J1c16, H6b2, U3b2a1a, U3b2a1a2.

ნიმუშებში, სადაც ვერ მოხერხდა ქრომოსომის გამოყოფა, მათი მიტოქონდრიული დნმ-ია: H2a2a1g2, U1a1a.

მეტი სიცხადისათვის, აქვე მოგვყავს ზოგადი ინფორმაცია კვლევით მიღებულ ჰაპლოჯგუფთა რეგიონალურ გავრცელებასა და ეთნიკურ კუთვნილებაზე.

ქრომოსომის ჰაპლოჯგუფი R1a1a1~ (= R-417), რომელიც ბავშვის ნიმუშში აღმოჩნდა, დაკავშირებულია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფთან და ფართოდ არის გავრცელებული როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, ისე ცენტრალურ და სამხრეთ აზიაში. გენეტიკური კვლევებისა და ისტორიული მიგრაციების შესწავლის საფუძველზე, დასახელებული ჰაპლოჯგუფი ასოცირდება ეთნიკური პოპულაციის ფართო სპექტრთან, როგორიცაა სლავური (პოლონელები, რუსები, უკრაინელები), ბალტიისპირეთის (ლიეტუვა, ლატვია), სკანდინავიის (ნორვეგია, შვედეთი), ინდო-ირანული, ინდო-არიული, ძირძველი ციმბირისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მოსახლეობა.

ქრომოსომის ჰაპლოჯგუფი R1b1a1b (=R-M269), რომელიც სამივე მამაკაცის ნიმუშში დადასტურდა, დასავლეთ ევროპულ პოპულაციას უკავშირდება და ძირითადად, იმ ეთნიკურ ჯგუფებს აკუთვნებენ, რომელთაც კავშირი აქვთ ინდოევროპულ მიგრაციებთან. აღნიშნული ჰაპლოჯგუფი ხშირია კელტურ, გერმანულ, ბასკურ მოსახლეობაში, ხოლო მცირე რაოდენ-

ნობით სკანდინავიის, პირენეის ნახევარკუნძულისა და ზოგიერთ სლავურ პოპულაციაში.

ორი მამაკაცის ნიმუშში გამოვლენილი მიტოქონდრიული ჰაპლოჯგუფი W3a1 კონკრეტულ ეთნოსთან არ არის დაკავშირებული. ფართოდ გვხვდება როგორც ევროპაში, ასევე დასავლეთ, სამხრეთ, ცენტრალურ თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

მესამე მამაკაცის ნიმუშში აღმოჩენილი მიტოქონდრიული ჰაპლოჯგუფის 1a1c1 პირველად რეგიონებად ძირითადად მიჩნეულია ახლო აღმოსავლეთი და კავკასია (საიდანაც გავრცელება უნდა მომხდარიყო სამხრეთ აზიის გარკვეულ რეგიონებში).

დადასტურებული ხუთი ქალიდან ორში გამოვლინდა 3 მიტოქონდრიული ჰაპლოჯგუფი (U3b2a1a, U3b2a1a2). აღნიშნული ჯგუფი დაკავშირებულია ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობასთან.

H6 მიტოქონდრიული ჯგუფიც ორ ნიმუშში დადასტურდა. აქედან 6a1b ჯგუფი მიჩნეულია, რომ გეოგრაფიული გავრცელების თვალსაზრისით ხშირია აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის, იშვიათად კი დასავლეთ ევროპის მოსახლეობაში. რაც შეეხება 6b2 ჯგუფს, მისი იშვიათობიდან გამომდინარე ზუსტი ეთნიკური ჯგუფი განსაზღვრული არ არის, თუმცა არსებული მონაცემებით, უმეტესად დაკავშირებულია აღმოსავლეთ ევროპის (უკრაინელები, რუსები, პოლონელები), სკანდინავიის (ნორვეგიელები, შვედები, დანიელები), კავკასიის (ქართველები, სომხები), ახლო აღმოსავლეთისა (ირანელები) და ცენტრალური აზიის მოსახლეობასთან (ყაზახები, უზბეკები).

დადასტურებული ხუთი ქალიდან ერთში გამოვლინდა J1c16 მიტოქონდრიული ჰაპლოჯგუფი. გენეტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ფართოდაა გავრცელებული მთელ ევროპაში, კავკასიის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქრომოსომის გამოყოფა ვერ მოხერხდა ორ ნიმუშში, რომელთა მიტოქონდრიული დნმ-ია 2a2a1g2 და 1a1a. დამკვიდრებული მოსაზრებით, 2a2a1g2 ჰაპლოჯგუფი განსაკუთრებული სიხშირით გვხვდება დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, იშვიათად ახლო აღმოსავლეთში, კავკასიაში (20%-ის სიხშირით), ჩრდილოეთ აფრიკასა და ცენტრალურ აზიაში. ხოლო 1a1a ჯგუფი, გენეტიკური კვლევების მიხედვით, ხშირ შემთხვევაში დასტურდება სამხრეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში, ანატოლიაში, აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, იშვიათად ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში.

ამ ეტაპზე, ცხრა ნიმუშიდან მიღებული არქაული დნმ-ის პასუხებით ჩანს, რომ მამაკაცები დიდი ალბათობით ევროპული წარმომავლობისანი არიან. აღნიშნული ჰაპლოჯგუფები გავრცელებული არ არის ადგილობრივ პოპულაციაში. ქალების შემთხვევაში კი პირიქით, უმეტესობა შესაძლოა

სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან იყოს. მათ შორისაა, ზემოთ აღნიშნული, მეორე დონის მონესრიგებულ სამარხში, ქრისტიანული წესით დაკრძალული ერთი ქალბატონი, რომელსაც საბრძოლო იარაღის გამოსახულებიანი საფლავის ქვა ადევს.

2018-2020 წლებში წარმოებული მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური კვლევების ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა სამეცნიერო წრეებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება გაგვემყარებინა და ზემოთ დასმულ კითხვებზეც გვემსჯელა, კერძოდ:

არქიტექტურულ, პალეოგრაფიულ და არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით ადრე გამოთქმული მოსაზრება, სამაროვნისა და ეკლესიის თანადროულობასთან მიმართებით, რადიოკარბონული კვლევებითაც დადასტურდა (X-XIII საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩოში).

გოხნარის წმ. გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე არსებული სამაროვანი შესაძლოა მართლაც წარმოადგენდეს კლდეკარის საერისთავოში არაქართველი, ევროპელი მეომრების საძმო სასაფლაოს. გენეტიკური კვლევა და რადიოკარბონული დათარიღება იძლევა საშუალებას, რომ სამარხები შესაძლოა დაკავშირებული იყოს დიდგორის ომში 200 ჯვაროსნის მონაწილეობის ისტორიულ მოვლენასთან. თუმცა, აქ ეჭვს ბადებს ის გარემოება, რომ ეკლესიის ეზოში, ვიზუალურად ხილვად მემორიალურ ქვაზე ჯვრის გამოსახულება ერთგან გვხვდება. ასევე, ამ ეტაპზე გამოვლენილ ძვლოვან მასალაზე არ შეინიშნება იარაღით მიყენებული დაზიანების კვალი.

საძმო სასაფლაო შესაძლოა უკავშირდებოდეს მეორე ისტორიულ მოვლენასაც, კერძოდ XI ს-ის შუა ხანებში შემოსული ვიკინგების 700 კაციან რაზმს, რომლებიც სასირეთის ბრძოლაში აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას. აღნიშნულ ვარაუდს, მეტნაკლებად, საგაში (ინგვარ შორს მოგზაურის საგა)¹ არსებული მონაცემებიც ამყარებს, რომლის მიხედვითაც ვიკინგების დიდი ნაწილი საბრძოლო მოქმედებების არეალში გარდაიცვალნენ.

აღნიშნულ პერიოდში მიმდინარე ისტორიული პროცესების გათვალისწინებით, სამაროვანზე ყივჩაღების დაკრძალვის ალბათობაც შეიძლება განგვეხილა, თუმცა ამ ეტაპზე მიღებული არქაული დნმ-ის პასუხებით ეს არ იკვეთება. ქრომოსომული ჰაპლოჯგუფების გენეტიკური ანალიზის მიხედვით ყივჩაღთა პოპულაციისთვის დამახასიათებელია R1b-M73 ჰაპლოჯგუფი, ჩვენ შემთხვევაში კი R1b-M269 ჯგუფია გამოვლენილი.

ამ ეტაპზე, არქეოლოგიური სამუშაოების მასშტაბი და ოსტეოლოგიურ ნიმუშებზე წარმოებული ლაბორატორიული ანალიზები საკმარისი არ არის ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად, შესაბამისად, ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ პირველადი ხასიათისაა. სამაროვნის სრულყოფილი გამოვლენა-შესწავლის მიზნით, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ფართომასშტაბიანი, კომპლექსური კვლევითი სამუშაოები, რომელთა შორის იგულისხმება: სამაროვნის ტერიტორიაზე არსებული ყველა საფლავის

¹ Larsson, *Ingvar the Fartravellers Journey*, გვ. 48.

ქვის გამოვლენა; სამარხ ქვებზე არსებული რელიეფური გამოსახულებების შესწავლა და სისტემატიზაცია; მიმდებარე არეალში არსებული მსგავსი ტიპის საფლავის ქვების კვლევა; გამოვლენილი ოსტეოლოგიური მასალის რადიოკარბონული დათარიღება; სტრონციუმის ანალიზი და ლაბორატორიული კვლევებით გარდაცვალების მიზეზ(ებ)ის დადგენა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა Cited Sources and Literature

ბაქრაძე, თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები – ბაქრაძე ა., თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, სსმმ, XX-B, 1959, გვ. 55-78

(**Bakradze, Epigraphic monuments of Trialeti and Ateni** – Bakradze A., *Epigraphic monuments of Trialeti and Ateni as historical sources*, “Bulletin of the Simon Janashia Georgian State Museum”, XX-B, 1959, pp. 55-78).

ბერძენიშვილი, აძიკვის წარწერის გამო – ბერძენიშვილი ნ., აძიკვის წარწერის გამო, წიგნში: მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წგნ. I, ისტორიული გეოგრაფია, თბილისი, 1964, გვ. 272-282

(**Berdzenishvili, Regarding the Adzikvi Inscription** – Berdzenishvili N., *Regarding the Adzikvi Inscription*, In the book: Idem, *Issues in the History of Georgia*, Book I, *Historical Geography*, Tbilisi, 1964, pp. 272-282).

ბურჯანაძე, სააღრიცხვო ბარათი – ბურჯანაძე გ., კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი, 38190, 2020

(**Burjanadze, Registration Card** – Burjanadze G., *Registration Card for Immovable Cultural Heritage Object/Monument*, N38190, 2020).

გოგუაძე, დიდი კატალოგი – გოგუაძე დ., საქართველოს პეტროგლიფების დიდი კატალოგი (შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), თბილისი, 2000

(**Goguadze, Big Catalogue** – Goguadze D., *Big Catalogue of Georgia Petroglyphs* [Shota Rustaveli National Science Foundation], Tbilisi, 2000).

თათარაშვილი, ჰიდრო-გეოლოგიური მიმოხილვა – თათარაშვილი კ., გოხნარის მიდამოების მოკლე ჰიდრო-გეოლოგიური მიმოხილვა, სმმ, ტ. III, 1926, 1927, გვ. 99-108

(**Tatarashvili, Hydro-Geological overview** – Tatarashvili K., *A brief Hydro-geological overview of the Gokhnari Area*, “Bulletin of the Georgian Museum”, 1927, pp. 99-108).

კვიციანი, აძიკვის (გოხნარის) წმინდა გიორგის ეკლესია – კვიციანი ზ., აძიკვის (გოხნარის) წმინდა გიორგის ეკლესია და სამაროვანი (უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები), აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის დაბადე-

ბიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თეზისები, თბილისი 2021, გვ. 156-161

(**Kvitsiani, St. George's Church in Adzikvi** – Kvitsiani Z., *St. George's church and cemetery in Adzikvi [Gokhnari] [Nearest Archaeological Discoveries]*, International conference dedicated to the 100th anniversary of the birth of academician Konstantine Tsereteli, Abstracts, Tbilisi, 2021, pp. 156-161).

ლომთათიძე, გრძელიშვილი, თრიალეთში 1949 წ. მივლინების ანგარიში – ლომთათიძე გ., გრძელიშვილი ი., *თრიალეთში 1949 წ. მივლინების ანგარიში*, „მიმომხილველი“, II, 1951, გვ. 330-334

(**Lomtadze, Grdzelishvili, Report on the 1949 Expedition to Trialeti** – Lomtadze G., Grdzelishvili I., *Report on the 1949 Expedition to Trialeti*, „Mimomkhilveli“, II, 1951, pp. 330-334).

მაისურაძე, ისტორიის – მაისურაძე ზ., *ისტორიის ქვის ფურცლები*, ძეგლის მეგობარი, ძმ, 20, 1970, გვ. 64-70

(**Maisuradze, Stone Pages of History** – Maisuradze Z., *Stone Pages of History*, „Dzeglis Megobari“, 20, 1970, pp. 64-70).

მატიანე ქართლისა – *მატიანე ქართლისა*, „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1955, გვ. 249-317

(**Chronicle of Kartli** – *Chronicle of Kartli*, „Kartlis Tskhovreba“ [“The Georgian Chronicle”], Vol. I, Text established according to all major manuscripts by S. Qaukhchishvili, Tbilisi, 1955, pp. 249-317).

ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა – ნადირაძე ე., *საქართველოს მემორიალური კულტურა*, თბილისი, 2001

(**Nadiradze, Memorial Culture of Georgia** – Nadiradze E., *Memorial Culture of Georgia*, Tbilisi, 2001).

სულხანიშვილი, მოკლე ანგარიში – სულხანიშვილი დ., *2018 წელს გობნარში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში*, „2018 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2019, გვ. 153-155

(**Sulkhanishvili, A short report** – Sulkhanishvili D., *A short report on Gokhnari archaeological expedition works implemented in 2018*, „Collection of brief reports on archaeological excavations conducted in 2018“, National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Tbilisi, 2019, pp. 153-155).

სულხანიშვილი, ბურჯანაძე, მშვილდაძე, მოკლე ანგარიში – სულხანიშვილი დ., ბურჯანაძე გ., მშვილდაძე მ., *სოფ. გობნარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების მოკლე ანგარიში*, „2020 წელს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიშების კრებული“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისი, 2021, გვ. 173-177

(Sulkhanishvili, Burjanadze, Mshvildadze, *A short report* – Sulkhanishvili D., Burjanadze G., Mshvildadze M., *A short report of archaeological works conducted on the territory of Saint George church in village Gokhnari*, “Collection of brief reports on archaeological excavations conducted in 2020”, National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, Tbilisi, 2021, pp. 173-177).

ციციშვილი, გოხნარი – ციციშვილი ი., გოხნარი, ძსპ, ტ. 3, თბილისი 1978, გვ. 240

(Tsitsishvili, *Gokhnari* – Tsitsishvili I., *Gokhnari*, “Georgian Soviet Encyclopedia”, Vol. 3, Tbilisi, 1978, p. 240).

ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წგნ. II – ჯავახიშვილი ივ., *ქართველი ერის ისტორია*, წიგნში: მისივე, *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II, თბილისი, 1983

(Javakhishvili, *History of the Georgian Nation, Book II* – Javakhishvili Iv., *History of the Georgian Nation*, Book II, In the book: Idem, *Works in twelve volumes*, Vol. II, Tbilisi, 1983).

Larsson, Ingvar the Fartravellers Journey – Larsson G., *Ingvar the Fartravellers Journey: historical and archaeological sources*, In: G. Larsson (ed.), “Between East and West: Early Contacts between Scandinavia and Caucasus”, Uppsala/Rimbo, 2013, pp. 36-48, <http://www.diva-portal.org> (accessed: October 23, 2018).

Такаишвили, IV. Тифлисский уезд – Такаишвили Е., IV. *Тифлисский уезд. Манглись и его окрестности*, В кн.: Его же, *Археологические экскурсии, Разыскания и Замѣтки*, Вып. IV, Тифлис, 1913

(Takaishvili, IV, *Tiflis governorate* – Takaishvili E., *Tiflis governorate. Manglisi and its Surroundings*, In the book: Idem, *Archaeological Excursions, Investigations and Notes*, Issue IV, Tiflis, 1913).

Уваров, Христианская символика – Уваров А. С., *Христианская символика*, Часть первая, Москва, 1908

(Uvarov, *Christian Symbolism* – Uvarov A. S., *Christian Symbolism*, Part one, Moscow, 1908).

Шмерлинг, Архитектурные памятники – Шмерлинг Р., *Архитектурные памятники древних селений Адзикви и Бза*, მაცნე სამეცნიერო, 1969, N2, გვ. 105-131

(Shmerling, *Architectural monuments* – Shmerling R., *Architectural monuments of the ancient settlements of Adzikvi and Bza*, “Matsne: Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR, Social Science Series”, 1969, N2, pp. 105-131).

**David Sul Khanishvili, Solomon Ioramashvili,
Madona Mshvildadze, David Gogvadze, Giorgi Burjanadze**

**Results of Archaeological Research
on Burials at St. George's Church in Gokhnari**

Summary

The archaeological study of the cemetery located in the courtyard of St. George's Church in Gokhnari holds particular significance. This monument has repeatedly become the subject of discussion in scientific circles due to the relief compositions present on the tombstones. Until 2018, the main purpose of research was to explain the carving technology and determine their memorial attribution through observation of the subjects. As for archaeological excavations, no work had been conducted in this direction.

The article presents the results of archaeological investigations conducted by "Khvamlis Amqari" in 2018-2020. In the first season, the expedition conducted field surveys, small-scale cleaning work, and studied one of the burials existing in the church courtyard. It should be noted that the precise boundaries of the grave could not be determined during this phase. Consequently, it was hypothesised that the relief-carved tombstones might have marked a single, large collective burial. Accordingly, the purpose of the work planned for the second field season was to verify the expressed assumptions and many other hypotheses based on additional archaeological excavations and analysis of osteological material.

In 2020, archaeological excavations were conducted on two burials adjacent to the south-west of the grave uncovered during the first season. Excavation revealed that the burials had been reused multiple times for interments across different periods, which was confirmed by bone remains revealed at three distinct levels and the presence of stone-built burial constructions.

To assess the revealed archaeological picture, bone samples were submitted for radiocarbon dating at the Tandem Laboratory of Uppsala University and Ancient DNA analysis at Sweden's national SciLifeLab.

The radiocarbon results indicated that the earliest burial layer (lowest level) dates from the turn of the 10th-11th centuries, while the late (upper level) corresponds to the 12th-13th centuries. Notably, it was established that the disarticulated skeletal remains in the upper level predate the anatomically intact individual interred in an orderly manner in the so-called middle level. These findings further support scholarly claims regarding the contemporaneity of St. George's Church and the Gokhnari cemetery, dating to the transition from the 10th to 11th centuries.

Regarding ancient DNA research, 13 samples were submitted for analysis to Sweden's national SciLifeLab. For most of them, Y chromosome and mitochondrial

DNA haplogroups were deciphered, enabling us to determine the sex of the individuals and to infer aspects of their ethnic or regional background.

The scale of the archaeological field work and the results of laboratory data of osteological material at our disposal are, of course, insufficient for constructing a comprehensive understanding or drawing definitive conclusions. Accordingly, continued multidisciplinary research is essential for the full investigation and interpretation of the cemetery.

ილუსტრაციები

სურ. 1. სიტუაციის ამსახველი თემატური რუკა (თემატური რუკა GIS ინსტრუმენტის საშუალებით აენჭო გ. ბურჯანაძის მიერ).

სურ. 2. გოხნარის ნმ. გიორგის ეკლესია (XI-XII სს.) (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

სურ. 3. გოხნარის ნმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში არსებული ქტიტორთა გამოსახულებიანი ბარელიეფი ასომთავრული წარწერით (ფოტო: მ. მშვილდაძე).

სურ. 4. წარწერა გოხნარის ნმ. გიორგის ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის პილასტრზე (ფოტო: მ. მშვილდაძე).

სურ. 5-6. მეგალითური ნაგებობები ნმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით (ფოტო: მ. მშვილდაძე).

სურ. 7-9. გოხნარის სამაროვანზე არსებული რელიეფურგამოსახულებიანი სამარხი ქვები (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

სურ. 10. არქეოლოგიური სამუშაოების პირველი ეტაპი, არეალის დაკვადრატება (3x4 მ.) (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

სურ. 11. არქეოლოგიური სამუშაოების პირველი ეტაპი, სამარხის გახსნა (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

სურ. 12. მეორე დონის ქვით ამოყვანილი სამარხები (გახსნამდე) (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

სურ. 13. N1 და N2 სამარხების პრეპარაცია (ფოტო: ზ. კობახიძე).

სურ. 14. N1 და N2 სამარხები პრეპარაციის დასრულების შემდგომ (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

სურ. 15. N1 და N2 სამარხების მოდელი (ფოტოგრამეტრიის მეთოდის გამოყენებით მოდელი შეიქმნა გ. ბურჯანაძის მიერ).

სურ. 16. N1 და N2 სამარხების გეგმა (ფოტოგრამეტრიის მეთოდის გამოყენებით გეგმა შეიქმნა გ. ბურჯანაძის მიერ).

სურ. 17. N1 და N2 სამარხების სიმაღლეების ციფრული მოდელი (DEM) (ფოტოგრამეტრიის მეთოდის გამოყენებით მოდელი შეიქმნა გ. ბურჯანაძის მიერ).

სურ. 18. N2 სამარხის ნიველირებული თიხატკეპნილი (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

სურ. 19. N2 სამარხი თიხატკეპნილი ფენის მოხსნის შემდგომ (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

სურ. 20. მესამე დონის სამარხების მოდელი (ფოტოგრამეტრიის მეთოდის გამოყენებით მოდელი შეიქმნა გ. ბურჯანაძის მიერ).

სურ. 21. სამუშაოების დროს მოპოვებული არქეოლოგიური მასალა (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

სურ. 22. არქეოლოგიური სამუშაოების დასასრული (ფოტო: გ. ბურჯანაძე).

ტაბ. 1-2. რადიოკარბონული კვლევის შედეგები (Tandem Laboratory, Uppsala University).

ტაბ. 3. SciLifeLab ლაბორატორიიდან მიღებული კვლევის შედეგების ცხრილი.

Illustrations

Fig. 1. Thematic map depicting the situation (created by G. Burjanadze using GIS tools).

Fig. 2. St. George's church of Gokhnari (11th-12th centuries) (photo by G. Burjanadze).

Fig. 3. Bas-relief with images of ktitors (founders) with Asomtavruli inscription on the western section of the southern wall of St. George's church of Gokhnari (photo by M. Mshvildadze).

Fig. 4. Inscription on the pilaster of the northern wall of St. George's church of Gokhnari (photo by M. Mshvildadze).

Fig. 5-6. Megalithic structures south of St. George's church of Gokhnari (photo by M. Mshvildadze).

Fig. 7-9. Burial stones with relief images from the Gokhnari cemetery (photo by G. Burjanadze).

Fig. 10. First stage of archaeological work, gridding the area (3x4 m) (photo by G. Burjanadze).

Fig. 11. First stage of archaeological work, opening the burial (photo by M. Mshvildadze).

Fig. 12. Second level stone-built burials (before opening) (photo by G. Burjanadze).

Fig. 13. Preparation on burials N1 and N2 (photo by Z. Kobakhidze).

Fig. 14. Burials N1 and N2 after completion of preparation (photo by G. Burjanadze).

Fig. 15. Model of burials N1 and N2 (created by G. Burjanadze using photogrammetry).

Fig. 16. Plan of burials N1 and N2 (created by G. Burjanadze using photogrammetry).

Fig. 17. Digital elevation model (DEM) of burials N1 and N2 (created by G. Burjanadze using photogrammetry).

Fig. 18. Levelled clay floor of burial (photo by G. Burjanadze).

Fig. 19. Burial N2 after removal of the clay floor layer (photo by G. Burjanadze).

Fig. 20. Model of third level burials (created by G. Burjanadze using photogrammetry).

Fig. 21. Archaeological material obtained during the works (photo by G. Burjanadze).

Fig. 22. End of archaeological works (photo by G. Burjanadze).

Tab. 1-2. Results of Radiocarbon analyses (Tandem Laboratory, Uppsala University).

Tab. 3. Results from SciLifeLab Ancient DNA unit.